ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11.2.1. ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის გამოიყენებს ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს (როგორც პერსონალური მნიშვნელობის, ასევე დაკავშირებული კლიენტის პროდუქტებთან/ოპერაციებთან) ან 11.3.4 პუნქტში მითითებული მიზნებისათვის, კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, აუთენტიფიკაცია განხორციელდება ხმის გამოყენებით. კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება, როგორც სატელეფონო მომსახურების, ასევე ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების გაწევის წინ / სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე (ელექტრონული სერვისებზე) რეგისტრაციისას. იდენტიფიცირების პროცედურის გავლის გარეშე, კლიენტი ვერ მიიღებს ამ ხელშეკრულების 11.1.1 ქვეპუნქტში აღწერილ მომსახურებას. ბანკთან ყოველი სატელეფონო კავშირისას (სატელეფონო მომსახურების მიღების ყოველ ჯერზე) კლიენტმა უნდა გაიაროს იდენტიფიცირების პროცედურა (სწორედ უნდა უპასუხოს სატელეფონო სერვისცენტრის ოპერატორის მიერ დასმულ (ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ) შეკითხვებს ან ვერიფიკაცია გაიაროს ხმით აუთენტიფიკაციის საშუალებით).

ხელშეკრულების მე-11 მუხლს დაემატოს 11.3.3; 11.3.4; 11.3.5 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11.3.3. ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ხმის ბიომეტრიის დაცულობას და პასუხისმგებელია მხარეთა შორის შეთანხმებული მიზნებისათვის გამოყენებაზე. კლიენტის ბიომეტრიული მონაცემის ჩაწერა განხორციელდება რთული იდენტიფიკაციის გავლის შემდგომ. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი ხმის ჩანაწერის შეცვლა/წაშლა/განადგურება გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3.4. კლიენტის ხმის ბიომეტრიის დამუშავების მიზანს წარმოადგენს კლიენტის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა თანამედროვე, უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებით. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური უზრუნველყოფის კუთხით, კლიენტის ხმის ბიომეტრიული მონაცემები ინახება დაშიფრული სახით და დაშიფრულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია.

11.3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხმის აუთენტიფიკაციის გამოყენებით შესრულებულ საბანკო ოპერაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.